ოქმი:**ო05. 3726120001**
თარიღი:**30/04/2026**

ოქმი N 7

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ

საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

2026 წელი, 29 აპრილი

ქ.ოზურგეთი

10:30 – 11:00-საათი

თავმჯდომარეობდა: მარიკა ჩხიკვიშვილი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ქ. ხომერიკი, ლ. კილაძე, გ. კილაძე, ხ. ცერცვაძე, ნ. ნადირაშვილი, ლ. მესხი, ი. დობორჯგინიძე, თ. ქავთარია, ლ. კვაჭაძე, ქ. კვაჭანტირაძე, მ. ცქვიტინიძე, ი. ჩიკაშუა.

სხდომის თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილებისა და კლასიფიკაციის წესის დამტკიცების შესახებ- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: მარიკა ჩხიკვიშვილი

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ, მ. ჩხიკვიშვილმა, კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, აღნიშნა, რომ პროექტი აწესრიგებს მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოებში მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ავტოტრანსპორტის სამსახურეობრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყენების საკითხს. სხდომის თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა აღნიშნა, რომ პროექტი იდგა საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე, გაგზავნილი იყო შესაბამის სამთავრობო ორგანოში სამართლებრივი ექსპერტიზისათვის, ამჟამად წარმოდგენილი პროექტი სრულად აკმაყოფილებს თვითმმართველობის ნორმატიული აქტისათვის წაყენებულ მოთხოვნებს, მანვე დააყენა წინადადება დადგენილების მესამე მუხლს დამატებოდა ორი პუნქტი: “დ“ -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების, ფრაქციების თავმჯდომარეები; და „ე“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი. განაცხადა,

რომ პროექტი შეიძლება წარდგენილ იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს სხდომის თავმჯდომარის მ. ჩხიკვიშვილის წინადადებას -პროექტი წარედგინოს საკრებულოს მორიგ სხდომას განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და სხდომის დღის წესრიგში შეტანილი საკითხი წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომას განსახილვისა და დამტკიცების მიზნით.

მარიკა ჩხიკვიშვილი

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი